პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

15 ოქტომბერი სამშაბათი 1974

ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 242 (16063)

ლენინური პარტია მოგვიწოდებს

10 პარაქიანი, ხალისიანი ოქტომბერია ახლა ჩვენს ქვეყანაში. ყოველი დღე, ყოველი საათი ჩვენი ცხოვრების მძლავრი მაჯისცემით ხასიათდება. ეს ჩვენი თანამედროვე ცხოვრების ხადარი რიტმია, დიდი და საყოველთაო-სახალხო შრომის ჭეშმარიტი დუღილი.

გამარჯვებათა პატაკები პატაკებს მოსდევს... ერთმანეთს ენაცვლება შრომელთა სოციალისტური შეჯიბრების სახელოვანი ფურცლები... საბჭოთა ადამიანები იმ საერთო ფიქრითა და სურვილით არიან შეკრულნი, რომ დაჩქარონ თავიანთი ნათელი მომავლის — კომუნიზმის აშენება, წარმატებით გადაწყვიტონ შმობლიური პარტიის მიერ დასახული კონკრეტული ამოცანები ამ ეტაპზე.

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად აღმავლობით, დიდი აქტივობითა და გულმოდგინებით იღვწიან საქართველოს მშრომელები, რომელთა ენერგია დღეს მიმართულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა, შეცხრე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისაკენ.

და ახლა, ამ დღეებში, როცა შეცხრე ხუთწლედის მეოთხე, განსაზღვრული წლის ფინიშამდე მხოლოდ ორთვენახევარი დარჩა, როცა ყოველი საათი, ყოველი წუთი სულ უფრო გვაახლოებს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 57-ე წლისთავს, ტრადიციულად, მთელი ძალით გაისმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის საოქტომბრო მოწოდებათა ამაღელვებელი ხმა:

— საბჭოთა კავშირის მშრომელებო! იბრძოლეთ 1974 წლის გეგმისა და ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა ვადამდე შესრულებისათვის! უფრო ფართოდ გაუშალეთ საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრება შეცხრე ხუთწლედის წარმატებით დამთავრებისათვის!

დიახ, სწორედ შეცხრე ხუთწლედი, XXIV ყრილობის მიჯნებია ახლა ყოველი ჩვენგანის საფიქრალი და საზრუნავი. იმაზე, თუ როგორ განვახორციელებთ, როგორ შევასრულებთ მას მთლიანად, ბევრად არის დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიური პოტენციალის, მისი თავდაცვისუნარიანობის შემდგომი ზრდა, საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის განუხრელი ამაღლების დონე.

შეცხრე ხუთწლედის განვლილ პერიოდში ეს ჩვენმა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით უდიდესი წარმატებანი მოიპოვა. წინასწარი მონაცემებით ქვეყნის ეროვნული შემოსავალი ოთხი წლის მანძილზე ერთი მეოთხედით და მეტად, ხოლო სამრეწველო პროდუქციის მოცულობა — მისამდენად და მეტად გაიზრდება. დიდი სიძნელეების მეოხებითაც, შესანიშნავი შედეგებია მიღწეული სოფლის მეურნეობაში. ათეულობულია მსხვილი კაპიტალური დაბანდებანი, ამაღლდა მშრომელთა მატერიალური და კულტურული ცხოვრების დონე.

ქვეყნის ამ საერთო მიღწევებში შეტად თვალსაჩინოა საბჭოთა საქართველოს წვლილიც. კვლავ დაბეჭითებით, შეუპოვრად მიმდინარეობს რა ბრძოლა სუბიექტივიზმისა და ვოლონტარიზმის წლების მანი შედეგების — მთელი რიგი ხერხეული ნაკლოვანებებისა და დამაბინძურებლის, უპასუხისმგებლობისა და უყურადღებოს, ხოცალოსტური კანონიერების უხეში დარღვევებისა და ჩვენი საზოგადოების სხვადასხვა ანტაგონიზმის — წინააღმდეგ, ფართო გზა ეძლევა ადამიანთა შემოქმედებითს შრომას. მათ აქტივობას. ინიციატივას. ეი თუნდაც ამ აანმსაზღვრელი წლის ზოგიერთი შედეგი. რეპუბლიკის მრეწველობამ ვადამდე, 28 სექტემბრისათვის შეასრულა ცხრა თვის გეგმა. ამ ეკონ. ხნის წინით ქართველთა მეჩაიეებმა ხამშობლოს 311.113 ტონა ჩაის ხარისხოვანი ფოთლის მოკრეფა უპატაკეს. ეს ჭეშმარიტი რეკორდია, რაზეც რესპუბლიკის მშრომელებმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ენერგიული მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გულითადი მიოლოცვა მიიღეს. ახლა კი ბარაქიანი როვილი აქვთ ჩვენს მეჭიანეებს.

მაგრამ, როგორც ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა საბჭოთა მოლდავეთის ორგანოთა წლისთავის აღსანიშნავ ხაზეიმო სხდომაზე თქვა, „პარტიის XXIV ყრილობის მიერ დასახულ მიჯნებს რომ მივაღწიოთ, ყველამ უნდა ვიმუშაოთ ადგილი უფრო აქტიურად. ადგილ უფრო ბეჯითად. ეს ეხება როგორც მომდინარე წლის დარჩენილ თვეებს, ისე, რა თქმა უნდა, ხუთწლედის უკანასკნელ წელს“.

და აი სკკპ ცენტრალური კომიტეტის საოქტომბრო მოწოდებები ყოველი ადამიანი — თბილისელი ჩარხმშენებელი თუ ოჩამჩალელი მეტალურგი. ქუთაისელი ავტომშენებელი თუ ბიათურელი მაღაროელი, რკინიგზელი თუ ქიმიკოსი, მეჩაიე თუ მწყემსი, მეფოსტე თუ მომანდერე, ექიმი, მეცნიერი, კოლტეგრიანი და ხელოვნების მოღვაწე — აუცილებლად ითვნის უშუალოდ მისდამი მიმართული სიტყვიებს.

პარტია მრეწველობის მუშაკებს მოუწოდებს ინბრძოლონ ქვეყნის ინდუსტრიული ძალიერების შემდგომი განმტკიცებისათვის, მიაღწიონ ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას და სამძლავრეთა უკეთ გამოყენებას. მშენებლებსა ეალია ახალი ობიექტების დროული ამოქმედება, ხამშენებლო სამუშაოთა ხარისხის გაუმჯობესება. მშენებლობის ეფექტიანობის ამაღლება. ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მუშაკებმა ყოველმხრივ უნდა გაუმჯობესონ სახალხო მეურნეობის, ადამიანების მომსახურება, კოლმეურნეებმა და ხაბჭოთა მეურნეობების მუშაკებმა კიდევ უფრო ბეჯითად ინრძოლონ საოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მისი მიყიდვის ხუთწლედის დავალებათა ხათავეში. პარტიის წარმომადგენლებმა ხალხთან ერთად ინაგონ ყველაფერი ხანმეტად ხამეურნეო ნაგებობათა ამოქმედებისა და ხაგაზაფხულო ოთხვის ხანმეტად მომზადებისათვის, 1975 წელს უხვი მოსავლის მიღებისათვის.

ხოოქტომბრო მოწოდებანი ახალ კეთილ საქმეებს შთააგონებენ ვაჭრობის, ხაზოგადოებრივი კვების, ხაყოფაცხოვრებო მომსახურებისა და კომუნალური მეურნეობის მუშაკებს, მეცნიერებს, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებს, ხახალხო განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის მუშაკებს, რევოლუციის, ომისა და შრომის ვეტერანებს, კომკავშირელებს, პიონერებსა და მოსწავლეებს...

— დიდება დიდ საბჭოთა ხალხს — კომუნიზმის მშენებელს!

ჩვენი შრომის, შემოქმედების ყველა უბანზე, ხაყოველთაო-სახალხო სოციალისტურ შეჯიბრებაში კიდევ უფრო იჭიდება და მტკიცდება დიდი ოქტომბრის ერთ-ერთი ხაუკეთესო მონაპოვარი — ხალხთა ულიანი და ძმური მეგობრობა. ეს ერთხელ კიდევ თვალსაჩინოდ გამოჩნდა ხელო ახლახან საბჭოთა მოლდავეთის 50 წლისთავის აღსანიშნავ ზეიმში. რომელიც, ჭეშმარტად, ყიალი მოიკვეთა ეროვნული ერსებულობა ზეიმში.

— კომუნისტებო! იუაგით სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ხაყოველთაო-სახალხო ბრძოლის ავანგარდში, ხასმენის აქტიური ორგანიზატორები და ალმაზრდელები!

საბჭოთა კავშირის მშრომელებო! აქტიურად იბრძოლეთ პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, ჩვენი სამშობლოს ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის!

(სკკპ ცენტრალური კომიტეტის საოქტომბრო მოწოდებებიდან).

შეჯიბრების მოწინავენი

ცოლ-ქმარ მანანა და ვანო ჩოხურებს კარგად იცნობენ თბილისის ხაინსტრუმენტო ქარხანაში. ახლანი არიან კომუნისტური შრომის დამკვრელები და დაჯილდოებული არიან ხამეერდე ნიშნებით „1973 წლის სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვეულნი“. ჩოხურები ნაყოფიერად შრომობენ. ეს ხაუალებას აძლევს მათ მნიშვნელოვნად გაუხწრონ დროს. ვანო ჩოხურმა უკვე დიდი ხანია შეასრულა პირადი ხუთწლედი, მისი მეუღლე მანანა ჩოხური უკვე მიუახლოვდა ამ მიჯნას და ვალდებულება იკისრა ხუთწლედი შეასრულოს 7 ნოემბრისათვის. ახლანი ხაწარმოში ხაშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მოვიდნენ. ხურათხუ: მანანა და ვანო ჩოხურები.

ხ. ციმუხაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ფინასაოქტომბრო ვახტზე

ტყიბული. (საკ. კორ. ვ. ციბრეკიძე). ქალაქის მრეწველობის მუშაკებმა, ფართოდ გაშალეს რა საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრება დიდი ოქტომბრის შესახვედრად. შესანიშნავ შრომით გამარჯვებას მიაღწიეს. ქალაქის მრეწველობამ საერთო პროდუქციის გამოშვების ცხრა თვის სახელმწიფო დავალება 20 სექტემბრისათვის შეასრულა და გეგმის ვადამეტებით აწარმოვა 64 ათასი მანეთის პროდუქცია.

პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის საქმეში ყველაზე უკეთესი მაჩვენებლები მოიპოვეს ორჯონიკიძის სახელობის შახტის (დირექტორი ი. ორჯონიკიძე), ჭელათის ტრანსფორმატორებისა (დირექტორი პ. მეტონიძე) და ხრესილის ხილეკენკროვანი ღვინის ქარხნის (დირექტორი თ. გორგაძე) კოლექტივებმა.

ცხაკაია. (საკ. კორ. ბ. მელიუტინი). რაიონის მრეწველობის ფლაგმანი ხალიჩების კომბინატი ყოველთვიურად ზრდის მუშაობის ტემპს. მეხალიჩეებს ცხრა თვეში გეგმით უნდა გამოეშვათ 15.838.000 მანეთის პროდუქცია. ფაქტიურად კი დამზადებულია 16.327.000 მანეთისა. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ნაწარმის გამოშვება გაზრდილია 6,8 პროცენტით.

გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში ბალან მაჩვენებლებს მიაღწიეს ბრიგადებმა, რომლებსაც ვ. ფრანგიშვილი, მ. ჭადარია, ა. ჭანტურია, ბ. სიჭინავა ხელმძღვანელობენ.

ხუთწლიანი გეგმა ოქტომბერი

შესრულდა ოთხ წელიწადში

როცა ახალი, მეცხრე ხუთწლედის გეგმა მუშავდებოდა, წალენჯიხელმა მეჩაიეებმა მტკიცედ განცხადეს, რომ ხუთწლედში მოკრეფდნენ და მრეწველობას ჩაბარებდნენ 77.940 ტონა ჩაის ფოთოლს. ახარებდნენ კიდეც უოველწლიურ გეგმას.

და აი ხუთწლედის განსაზღვრულ წელს მათ მოკრიფეს და მრეწველობას გადასაამუშავებლად ჩაბარეს 22.624 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. რაც ამ წლის გეგმა-ვალდებულებას დიდად სჭარბობს, (გეგმა-ვალდებულებით უნდა მოეკრიფათ 18.650 ტონა ჩაის ფოთოლი). გასულ წელთან შედარებით წელს მოკრეფილია 3.777 ტონით მეტი ნედლეული. გადაჭარბებით შესრულდა მანქანებით კრეფის გეგმა-ვალდებულებაც.

განსაკუთრებით წლევანდელი წლის ნაყოფიერმა შრომამ განსაზღვრა ხუთწლედის გეგმის 4 წლიწადში შესრულება. რაიონში მოკრეფილია 77.984 ტონა ჩაის ფოთოლი. 4 წლის მანძილზე კი პირველი ხარისხის ფოთოლი მოკრეფილია 49.870 ტონა, გეგმით კი უნდა მოეკრიფათ 43.034 ტონა.

აღსანიშნავია, რომ აქ ყოველწლიურად იზრდება ჩაის ფოთლის მოხავლიანობა. თუ მერვე ხუთწლედის ბოლოს ჩაის საშუალო მოსავლიანობამ ჰექტარზე 4.114 კილოგრამი შეადგინა, მეცხრე ხუთწლედის მეოთხე, განსაზღვრულ წელს იგი 6.970 კილოგრამამდე შეადგენს. რაც 1970 წლის მაჩვენებელზე 2.856 კილოგრამით სჭარბობს. მარტო მიმდინარე წელს შარშანდელთან შედარებით ჩაის საშუალო მოსავალი ჰექტარზე 1.143 კილოგრამით გაიზარდა.

ჩქვალერის კოლმეურნეობამ, რომელსაც ახალგაზრდა აგრონომი რევაზ ჭანტურია თავკაცობს, რესპუბლიკას პირველმა, 28 ივლისს უპატაკა ჩაის ფოთლის კრეფის ხუთწლიანი გეგმის 4 წელიწადში შესრულება. ჩქვალერელებმა ამ რიცხვიდან დაიწყეს მეათე ხუთწლედის პირველი წლის ანგარიში ჩაის ფოთლის ჩაბარება.

ხაქვეყნიერო ცნობილია წალენჯიხის ჩაის ხაბჭოთა მეურნეობის (დირექტორი, სოციალისტური შრომის ორგანო ა. კვარაცხელია) შრომითი ხაქმეები. ხახელოვანმა მექანიზატორებმა და ხელით მკრეფავებმა ხუთწლედის გეგმა 4 წელიწადში 30 ივლისს გაანადღეს. მეურნეობას ხუთწლიანი გეგმით უნდა მოეკრიფა 13.860 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. 6 ოქტომბრისათვის კი მოკრეფილი იყო 15.816 ტონა ნედლეული.

ჩაის ფოთლის კრეფის ხუთწლედის გეგმა 4 წელიწადში შეასრულეს ბრიგადა ლარა-მედანის (თავმჯდომარე დ. მონია), მიქავან უტუ მიქავას (თავმჯდომარე ლ. კვარაცხელია), ჭალეს ქიროვის (თავმჯდომარე ფ. უბილავა) და წალენჯიხის პირველი მაისის ხახელობის (თავმჯდომარე ო. მეხუბია) კოლმეურნეობებმა.

რით მიაღწიეს წალენჯიხელმა მეჩაიეებმა ამ დიდ გამარჯვებას?

უპირველეს ყოვლისა პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის სწორად წარმართვით, სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლით. ყველა მეჩაიეს ჰქონდა თავისი ხუთწლედი, ყოველდღიური ვალდებულება. პირველადი პარტიული ორგანიზაციები ხათაევში ედგნენ ვალდებულების შესრულებას. დაწესებული იყო გარდამავალი დროშები და კომპელები, ფულადი და სხვა ხახის პრემიები, რაც კეთილი გავლენა იქონია შეჯიბრებაში ჩაბმულ მეჩაიეებზე, რგოლებზე, ბრიგადებსა და კოლმეურნეობებზე.

ხუთწლედის გეგმის ერთ წელზე მეტი ხნით ადრე შესრულება უპატაკეს ხამშობლოს მექანიზატორმა გალუშა ხახოკიამ, მეჩაიეებმა რაისა ოუჯაკვამ, გულნარა ხახოკიამ, ლეილა წულაიამ, ვენერა პოდლესნაიამ, ყენია ჭიჭალუამ, ხოფიო შონიამ, შურა ფიფიამ, ნათელა მატუამ, მერი ფიფიამ, ნაგორა ჭუბილავამ, ლუდა მითაგვარიამ, რომელი ერთი მეჩაიე და მექანიზატორი დავასახელოთ. ხახელი და დიდება მათს შრომას!

ხახელოვან მეჩაიეებს გვერდში ედგნენ და მათი ღირსებისათვის იბრძოდნენ ექიმები, მასწავლებლები, ხაწარმო-დაწესებულებების მუშა-მოხამსახურეები, რაიონის მოსწავლეები. 6 ოქტომბერს, როცა გაწეულ შრომას აჯამებდნენ ჭარტის რაიონულ კომიტეტში, გამოირკვა, რომ რაიონის კომკავშირელებისა და ახალგაზრდების ოქროს ხელებით (კომკავშირის რაიკომის პირველი მდივანი ვ. ჭანია) მოკრეფილია დამზადებული ჩაის 60 პროცენტი. დიდება მათ, ხახელოვან ახალგაზრდებს!

წალენჯიხის ხუთი ჩაის ფაბრიკიდან ჩაის ფოთლის გადამუშავებისა და პროდუქციის რეალიზაციის ხუთწლიანი გეგმა 4 წელიწადში შეასრულეს პირველმა და მეორე ფაბრიკებმა (წარმოების უფროსები ა. კაკულია და რ. შონია). პირველმა ფაბრიკამ ამ ხნის განმავლობაში მიიღო და გადაამუშავა 20.923 ტონა ნედლეული ნაცვლად 2.274 ტონისა. მეორე ფაბრიკამ 20.964 ტონა, ნაცვლად 20.728 ტონისა. აღსანიშნავია, რომ პირველი ფაბრიკის კოლექტივმა ხახელმწიფოს მისცა 187 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება, ხოლო მეორემ — 541 ათასი მანეთი. მათს ნახელავს ჩვენი კავშირის რესპუბლიკებს გარდა იღებენ პოლონეთის ხახალხო რესპუბლიკის მშრომელები.

ჩაის ფოთლის კრეფა დამთავრდა. მაგრამ ხახელოვანი მეჩაიეები და მექანიზატორები კვლავ აგრძელებენ შრომას, პლანტაციებს მზრუნველ ხელს არ აკლებენ, რომ მომავალი წლის უხვ მოსავალს ამოავთვინ ჩაუყარონ მტკიცე საფუძველი.

ბ. ნოდია,

„კომუნისტის“ საკ. კორ.

ხურათხუ: წალენჯიხის ხაბჭოთა მეურნეობის მექანიზატორებს დამთავრეს „მწვანე ოქროს“ აღება და ხახელოსნოსაკენ მიემართებიან.

სახელოვანი 50 წლისთავის აღსანიშნავად

მოლდავეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის ხელმძღვანელებს, მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების პირველ მდივნებს, დელეგაციებს სხვა მეთაურებს, როშლებიც საიუბილეო დღესასწაულზე ჩამოვიდნენ.

დარბაზობაზე იყო ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, ბულგარეთის კომპარტიის პლოვდივის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი დრაგა ვილჩევი.

დარბაზობაზე იყვნენ მოლდავეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ი. მ. მაშეროვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი ა. ნ. შელეპინი, ტ. ბ. ბაბიუკი, ა. ა. ბეგიჩევი, ბ. ბ. ბეგლოვი, ბ. ბ. ბეგლოვი, ბ. ბ. ბეგლოვ

1974

შესრულების შემოწმების ფელი

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV კონგრესის შესასვლელად

სოციალიზმისა და მშვიდობის ეროვნული ფრონტი

ვაჭრობა — თანამედროვე დონეზე

გოლომდე აღვაკვეთოთ დაჭვებული დამყაჩინჯებანი

ვაჭრობა ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. ტანსაცმელსა და თესლეულს, საკვებ პროდუქტებსა და ყოთაცხოვრებაში მოსახმარად ოფიციალურ ნათვებს საიჯრო დაწესებულებებში ვიძენთ. ასევე მუდამ. მილიონობით საბჭოთა ადამიანს აქვს ყოველდღიური ურთიერთობა მომსახურების სფეროს მთავარ დარგთან — საბჭოდწოთო და კოოპერაციულ ვაჭრობასთან. ვაჭრობის მუშაკებთან.

ამიტომ არის, რომ პარტია, საბჭოთა მთავრობა მუდამ უდიდეს ყურადღებასა და მზრუნველობას იჩენენ საბჭოთა ვაჭრობის საქმიანობით, მომსახურების ხელოვნურით, პროდუქციის მიწოდების ფორმებითა და მეთოდებით, იმ სიახლეებით, რომლებიც დღეს ჩვენს საჯიჯრო ორგანიზაციებს აქვთ.

ოდესო ჭეშმარიტებაა ის, რომ განვლილ პერიოდში რესპუბლიკის საჯიჯრო სისტემამ მნიშვნელოვანი თვისებრივი ცვლილებები განიცადა. როგორც ხელმძღვანელობაში. ისე საქალაქო. საროაონო საჯიჯრო რგოლებში მოვიდნენ ახალი ადამიანები, ახალგაზრდები, სპეციალისტები, ჯერ კიდევ გამოუცდელი მუშაკები. ეს ახალი ადამიანები მუშაობას შეუდგნენ შემართებით, ხალისით, ენთუზიაზმით. მაგრამ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ XIV ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲡᲕᲚᲔᲚᲐᲓ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲣᲖᲔᲠᲐᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝ

**ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲣᲖᲔᲠᲐᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ

ლენინური კურსი

ხაშუალებების დაუღალავ ძიებას. ფი ილეზეს, რომ მეცნიერება, სოციალისტური რეალიზმის ხელოვნება, მთელი საბჭოთა კულტურა აქტიურად ემსახურებოდნენ კომუნისტურ საწყისებზე საზოგადოების გარდაქმნის საქმეს, ყოველმხრივ და პარმონიულად განვითარებული პიროვნების ჩამოყალიბების საქმეს.

ცხოვრების სოციალისტური წესი ადამიანისათვის სულ უფრო სრულად უზრუნველყოფს საზოგადოების წინაშე მისი შრომითი დამსახურების აღიარებას, მისი ცხოვრების პირობების გაუმჯობესების პერსპექტივას, განათლებისა და დასვენების უფლებას, მომავლის რწმენას. ძნელია გადაჭარბებით შევიფასოთ ამგვარი სოციალური მონაპოვრები კაპიტალის ქვეყნებში შრომელთა ცხოვრების მოუწყობლობის, მასობრივი უმუშევრობის, სიძვირის უმაგალითო ზრდის, ეკონომიკის განვითარების პესიმისტური პროგნოზების ფონზე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მთელი ამ წლების მანძილზე მტკიცედ და თანმიმდევრულად ახორციელებს სოციალისტური დემოკრატიის ყოველმხრივი განვითარების, საბჭოთა სახელმწიფოს განმტკიცების, საზოგადოების მთელი პოლიტიკური ორგანიზაციის სრულყოფის ხაზს. პარტიას ეს მიაჩნია შრომელთა აქტიურობის გაზლის, კომუნისტურ შენებლობაში შემდგომი წარმატებების აუცილებელ პირობად. საძდგელი დემოკრატიზაცია არის გამსჭვალული ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროსულ უფრო მრავალმხრივი ხდება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს საქმიანობა, იხვეწება ჩვენი კანონმდებლობა. გაფართოვდა ადგილობრივი საბჭოების უფლებები და შესაძლებლობანი, მათი დეპუტატების რწმუნებანი. წარმატებით წყდება ისეთი ძირეული პრობლემა, როგორიც არის დემოკრატიული საწყისების განმტკიცება უშუალოდ წარმოებაში. მოქალაქეთა უფლებების უმკაცრესი დაცვა და თვითეული პირის მიერ საბჭოთა კანონების განუხრელად შესრულება — ამას ისახავს მიზნად სოციალისტური კანონიერების განმტკიცება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიმდინარე წლის ივნისში გამართული არჩევნების შედეგები ჩვენი პარტიის თვალსაჩინო პოლიტიკური წარმატებაა. არჩევნები გაიმართა ნამდვილ საყოველთაოსახალხო დღესასწაულად. კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებს ხმა მისცა ამომრჩეველთა 99,79 და ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებს — 99,85 პროცენტმა. საბჭოთა ადამიანებმა, ხმა მისცეს რა კომუნისტთა და უპარტიოთა ნაცად ბლოკს, ამით ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი პარტიის პოლიტიკურ პლატფორმას.

პრაქტიკა წლითიწლობით სულ უფრო სრულად და ფაფიზოდ ადასტურებს ლენინის სიტყვებს, რომ პროფკავშირები მართვის სკოლა, კომუნიზმის სკოლაა. ეს ყველაზე მასობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც თავის რიგებში აერთიანებს 100 მილიონზე მეტ კაცს, სულ უფრო დიდ როლს ასრულებს შრომელთა ცხოვრებაში. პარტია ამოცანად სახავს, რომ პროფკავშირები უფრო აქტიურად მონაწილეობდნენ წარმოებისა და სოციალისტური შეჯიბრების განვითარებაში, უფრო დიდ ზემოქმედებას ახდენენ მუშათა და მოსამსახურეთა შრომის, დასვენების და ყოფაცხოვრების საკითხთა გადაწყვეტაზე.

ოცდათთხმეტმილიონიანი ლენინური კომკავშირი — საბჭოთა ახალგაზრდობის მოწინავე რაზმი, პარტიის მებრძოლი თანაშემწე, ბეჯითად წყვეტს ცენტრალურ ამოცანას, რომელიც მას სკკპ XXIV ყრილობამ დაუსახა, ჩვენი ქვეყნის ქალიშვილებისა და ჯაბეტების „კომუნისტური აღზრდის ამოცანას. თაობათა რევოლუციური მემკვიდრეობითობა მკაფიოდ ცხადყო ამა წლის აპრილში გართულმა სრულიად საკავშირო ალკა XVII ყრილობამ. დღენიადაგ მონაწილეობს რა კომუნიზმისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლაში, კომკავშირი არის დამკვრელურ საქმეთა და თაოსნობათა წამომწყები, ახალგაზრდობის უზომოს ყველაზე ძნელ უბნებზე სამუშაოდ.

საბჭოთა კავშირი დინამიკურად განვითარებადი საზოგადოებაა. სოციალური გარდაქმნები, რომლებიც ჩვენში მიმდინარეობს და სულ უფრო ღრმავდება, მკაფიოდ მოწმობენ ახალი სამყაროს წარმატებითს წინსვლას, ეს არის ქალაქსა და სოფელს შორის, ფიზიკურ და გონებრივ შრომას შორის არსებითი განსხვავების ლიკვიდაციის პროცესი. ეს არის ჩვენი ქვეყნის კლასებისა და სოციალური ჯგუფების, ერებისა და ეროვნებების დაახლოების, ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობის — საბჭოთა ხალხის ჩამოყალიბების, მისი პოლიტიკური, იდეური და მორალური ერთიანობის განმტკიცების პროცესები. ყოველივე ეს პარტიის სწორი, მარქსისტულ-ლენინური სოციალური და ეროვნული პოლიტიკის შედეგია.

ჩვენმა ქვეყანამ სახეიმო ვითარებაში აღნიშნა დიდი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50 წლისთავი. აღნიშნეს ან უახლოეს ხანში აღნიშნავენ ღირსშესანიშნავ ნახევარსაუკუნოვან იუბილეებს მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკები. ეს საყოველთაო-სახალხო ზეიმები დამაჯერებლად მოგვაგონებენ, რომ ლენინურმა ეროვნულმა პოლიტიკამ წარმატებით ჩაბარა დროის გამოცდა. მოძმე ხალხების მეგობრობა, თანამშრომლობა, ურთიერთგაგება და ერთიანობა სსრ კავშირის განვითარების მძლავრი ფაქტორი, მისი ძლიერების წყარო და მთელ მსოფლიოში ეროვნული საკითხის გადაწყვეტის შესანიშნავი მაგალითი ჯახდა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პოლიტიკა ყველასათვის ნათელი და გასაგებია. პარტია საჯაროდ ლაპარაკობს ჯერ კიდევ გადაუჭრელ პრობლემებზე, შრომელთა შემოქმედებით ენერგიას წარმართავს იმ უდიდეს უპირატესობათა და შესაძლებლობათა აქტიურად გამოყენებისათვის, რომლებიც ახასიათებს სოციალისტურ წყობილებას. უცვლელია პარტიის პოლიტიკის არსი— ყველაფერი ადამიანისათვის, ყველაფერი ადამიანის კეთილდღეობისათვის.

3.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო ძალღონეს არ იშურებენ ჩვენი ქვეყნის ხალხების, ჩვენი სოციალისტური ძმობისა და მთელ მსოფლიოში მეგობრობის, შვიდთანხმიანობისათვის, უშიშროებისა და ბედნიერებისათვის. ცხოვრებამ უაღრესი დამაჯერებლობით დაადასტურა პარტიის XXIII და XXIV ყრილობების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების ანალიზის ობიექტურობა, პროგნოზების ზორსმჭვრეტელობა და საგარეო პოლიტიკური დებულებების დასაბუთებულობა. საერთაშორისო პოლიტიკა, რომელსაც ახორციელებს ჩვენი პარტია, ლენინის ანდერძს რომ იცავს, უწინარეს ყოველისა შვიდობის პოლიტიკაა.

ბოლო წლები აღსავსეა საგარეოპოლიტიკურ ფრონტზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის განსაკუთრებით ინტენსიური და ნაყოფიერი საქმიანობით. ჩვენმა პარტიამ, რომელმაც შეაფასა მსოფლიოში ძალთა საერთო თანფარდობა, მისი შეცვლა სოციალიზმის სასარგებლოდ, გამოიტანა ის დასკვნა, რომ არსებობს რეალური შესაძლებლობა მიაღწიოს საერთაშორისო სიტუაციაში ძირეულ გარდატეხას, გამოვიდეს მომწიფებული მსოფლიო პრობლემების კონსტრუქციულ გადაწყვეტის ფართო გზაზე. პარტიის პოლიტიკის დიდი წარმატება, სკკპ XXIV ყრილობის მიერ შეფუსებული შვიდობის პროგრამის რეალიზაციისათვის, მისი თანმიმდევრული ბრძოლის უმნიშვნელოვანესი შედეგი იყო ხალხთა შვიდობისა და უშიშროების საფუძვლების განმტკიცება და ატომური ომის საფრთხის შესუსტება, საერთაშორისო ვითარებაში „ცივი ომიდან“ დაძაბულობის შენელებისაკენ შემობრუნება, რომელიც ამავდროულ მიმდინარეობს, და სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების დამკვიდრება.

ეს შედეგია ერთიანი მოქმედებისა, რომელსაც ვახორციელებთ სოციალისტური თანამეგობრობის მომძმე ქვეყნებთან, კომუნისტურ და მუშათა პარტიებთან მეჩიდრო კავშირით. ეს აგრეთვე მნიშვნელოვანწილად პროგრესული საზოგადოებრივი ძალების ერთობლივი მოქმედებაა, ხალხის - მასების გაააქტიურების შედეგია, რომელიც იჩენენ შეფუწყნარებლობას აგრესიისადმი, მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი იბრძოლონ შვიდობის განმტკიცებისათვის. აქ განსაზღვრულ როლს ასრულებს აგრეთვე მთელი რიგი კაპიტალისტური ქვეყნების ხელმძღვანელი წრეების მიერ მსოფლიოში ძალთა ნამდვილი თანაფარდობისა და ომის, როგორც საერთაშორისო პრობლემების გადაწყვეტის საშუალების, მიუღებლობის სულ უფრო მზარდი გაგება.

და თუმცა მტკიცე და ხანგრძლივი შვიდობის გზაზე ჯერ კიდევ დაძლეული არ არის დაბრკოლებანი და სიძნელეები, მაგრამ რაც უკვე გაკეთდა და კეთდება ამ მიმართულებით, დამაამედებელ პერსპექტივებს ხსნავს. ჯერ კიდევ გადასაწყვეტია ბევრი რთული საქმე, რათა ეს პერსპექტივები რეალური გახდეს. „ჩვენს წმიდათაწმიდა მოვალეობად მიგვაჩნია, — აღნიშნავს აპრ. ლ. ი. ბრეჟნევი, — რომ კვლავაც ყოველი ღონე ვიხმაროთ, რათა არა მარტო ჩვენ, არამედ ჩვენმა შვილებმა, შვილიშვილებმა და შვილთაშვილიშვილებმა აღარ იცოდნენ, რა არის ომი, რათა ყველა ხალხს შეეძლოს ცხოვრება მშვიდობისა და ჯანსაღი ურთიერთობის პირობებში, და დარწმუნებული ვართ, რომ ხალხთა მტკიცე მშვიდობისა და უშიშროებისათვის, სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობისა და გონივრული ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობისათვის ბრძოლის გზაზე კვლავაც სავსებით დაგვიერენ მხარს მოძმე ქვეყნები და პარტიები, დედამიწის მთელი მშვიდობისმოყვარე ძალები, ყველა, ვისთვისაც ძვირფასია მშვიდობისა და კაცობრიობის პროგრესის საქმე“.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია უპირველეს ყურადღებას უთმობს მსოფლიო სოციალისტური სისტემის — მსოფლიო პროგრესისა და მშვიდობის ამ მთავარი და წამყვანი ძალის, — შემდგომი შეკავშირებისა და განვითარების საკითხებს. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, საბჭოთა სახელმწიფო მომძმე ქვეყნების მიმართ ახორციელებდნენ და ახორციელებენ სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პოლიტიკას, რომელიც მიზნად ისახავს მომძმე პარტიათა და სახელმწიფოთა საგარეოპოლიტიკური საქმიანობის შემდგომ კოორდინაციას, მათი მჭიდრო და მრავალმხრივი პოლიტიკური თანამშრომლობის განვითარებას.

ჩვენი პარტიის მეცადინეობა მიზნად ისახავს აგრეთვე ეკონომიური ინტეგრაციის წარმატებით განვითარებას სოციალისტური თანამეგობრობის ფარგლებში. იგი გახდა ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების სამრეწველო პოტენციალის სწრაფი ზრდის, მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესების, საზოგადოების სოციალური ერთგვაროვნობის გაძლიერების, მათი თანასწორუფლებიანი ძმური პოლიტიკური კავშირის შემდგომი განმტკიცების ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი ფაქტორი. სოციალიზმის მიერ დამკვიდრებული ახალი ტიპის საერთაშორისო ურთიერთობის უპირატესობა თვალნათლივ ჩანს კაპიტალიზმის სულ უფრო გაღრმავებული საერთო კრიზისის, მთელ რიგ წამყვან კაპიტალისტურ ქვეყნებში წარმოების დაქვეითების, სავალუტო-საფინანსო შერყევების, შრომელთა საარსებო უფლებების წინააღმდეგ მოწოლილთა შეტევის ფონზე.

უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს მომძმე პარტიებისა და ქვეყნების ხელმძღვანელთა ორ და მრავალმხრივ შეხვედრებს, ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირებს. სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების მზარდი ძმური ერთიანობის ნამდვილი დემონსტრაცია იყო ფაშისტური ტირანიისაგან მათი განთავისუფლებისა და სახალხო ხელისუფლების დამყარების იუბილეები, რომელიც ახლახან გაიმართა, სსრ კავშირში უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის ვიზიტი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის 25 წლისთავის ზეიმში საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის მონაწილეობა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა ხელს უწყობს მშვიდობის, დემოკრატიის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალიზმის ძალების ზრდას. საბჭოთა ადამიანები ძმური სოლიდარობით თვალს აყვენებენ კაპიტალის ქვეყნებში პროლეტარიატის, მშრომელების მიერ გამლილ კლასობრივ ბრძოლას, სადაც სავაფიცევო მოძრაობა სულ უფრო იძენს სახელმწიფო-მოსახელოებლიანი სისტემის, ბურჟუაზიულ მთავრობათა პოლიტიკის წინააღმდეგ პირდაპირი ბრძოლის ხასიათს. ფართოვდება ახალგაზრდა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა წრე, რომლებმაც სოციალურ-პოლიტიკური არჩევანი გააკეთეს სოციალისტური პერსპექტივების სასარგებლოდ და სარგებლობენ სსრ კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების ყოველმხრივი მხარდაჭერით.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო ეხმარებოდნენ და კვლავაც დაეხმარებიან ხალხებს, რომლებიც თავიანთი სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისათვის იბრძვიან. ჩვენმა ხალხმა ისტორიული წვლილი შეიტანა იმპერიალისტურ აგრესიასზე ვიეტნამელი ხალხის გამარჯვებაში. სსრ კავშირი თანმიმდევრულად იბრძვის ახლო აღმოსავლეთში მტკიცე მშვიდობის დამყარებისათვის, მხარს უჭერს არაბი ხალხების, მათ შორის პალესტინის არაბი ხალხის კანონიერ მოთხოვნებს. ჩვენი სახელმწიფო მხარს უჭერს კვიპროსის სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, უცხოთის ჯარების გაყვანას ამ სახელმწიფოს ტერიტორიიდან, მისი ხალხისათვის ნამდვილად მტკიცე მშვიდობას უზრუნველყოფს.

საბჭოთა საგარეო პოლიტიკის ქმედითობა იმით ელინდება, რომ იგი აღწევს კონკრეტულ, ხელულ შედეგებს, რომლებიც რეალურად აახლოებენ მტკიცე, სამართლიან შვიდობას. სასიკეთო ცვლილებანი განსაკუთრებით საგრძნობია ევროპის კოსტანტნტზე. ვითარდება საბჭოთა კავშირის, სხვა სოციალისტური სახელმწიფოების კეთილეზობლური ურთიერთობა დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან. ისეთი ურთიერთობა უწიხარეს ყოველისა მყარდება საფრანგეთთან. ევროპის კონტინენტზე ვითარების გაჯანსაღებაში არსებითი წვლილი იყო სსრ კავშირის, სხვა სოციალისტური ქვეყნების ურთიერთობის ნორმალიზაცია გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან. დოკუმენტი საფრანგეთთან საბჭოთა კავშირის ურთიერთობის პრინციპების შესახებ, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან დადებული ხელშეკრულება შვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების გამოყენების მაგალითია და ხელს უწყობს სახელმწიფოებისა და ხალხების კოლექტიური უშიშროების უზრუნველყოფას.

ევროპის შვიდობიანი პერსპექტივის რწმენის დასანერგავად დიდი მნიშვნელობა აქვს ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის საკითხებისადმი მიძღვნილ თათბირს, რომელიც ამჟამად მიმდინარეობს. პირველად ისტორიაში ამ წარმოეს საყოველთაო შვიდობის უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე სახელმწიფოთა თვალსაზრისის ღრმა ურთიერთგაგებობს, შეთანხმების პროცესი. საბჭოთა კავშირი ესწრაფვის იმას, რომ ევროპის კონტინენტი გახდეს სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის სისტემის დიდმნიშვნელოვანი რგოლი, რომელსაც საფუძვლად დაედება შვიდობიანი თანაარსებობის, ეფექტიანი უშიშროებისა და თანასწორუფლებიანი თანამშრომლობის პრინციპები. ამას ისახავს მიზნად აგრეთვე ჩვენი მეცადინეობა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის საკითხებისადმი მიძღვნილ თათბირზე.

ბოლო წლებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საგარეო პოლიტიკური მოვლენა გახდა პოზიტიური შემობრუნება საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობაში, რამაც საერიოზული ზემოქმედება მოახდინა შვიდობის შენარჩუნების პრობლემების გადაწყვეტაზე, მთელი საერთაშორისო კლიმატის გაუმჯობესებაზე. უწინარეს ყოველისა უნდა აღვნიშნოთ საბჭოთა კავშირ-ამერიკის 1972-1974 წლების ცნობილი შეთანხმებანი, განსაკუთრებით შეთანხმება ატომური ომის თავიდან აცილების შესახებ. ორივე სახელმწიფომ იკისრა ვალდებულება ძალიან ერ დაიშვროს ომისათვის, რომ მთლიანად გამორიცხონ იმის რისკი, რომ საომარი კონფლიქტი, ერძოდ, ატომური იარაღის გამოყენებით, მოხდეს სსრ კავშირსა და ამერიკას შეერთებულ შტატებს შორის, აგრეთვე თვითეულ მხარესა და სხვა სახელმწიფოთა შორის.

საბჭოთა კავშირი მეგობრულ ურთიერთობას ავითარებს აზიის, აფრიკის, ლათინური ამერიკის ქვეყნებთან. მან წამოაყენა აზიის კოლექტიური უშიშროების იდეა. შვიდობიანი თანაარსებობისათვის აქტიური ბრძოლის ორბიტაში დღეს ექცევა ათობით სახელმწიფო, დიდი და პატარა სახელმწიფოები, რომლებიც დედამიწის სხვადასხვა რაიონში მდებარეობენ.

დიდო მთელი რიგი საერთაშორისო შეთანხმებანი, ეურომლოსოდაც მსოფლიომი მდგომარეობა შეიძლებოდა კიდევ უფრო საშიში ყოფილიყო. მაგრამ გამალებული შეიარაღება, სამზეთაროდ, ჯერ ვერ შეგიჩერეთ. ჩვენი პარტია, საბჭოთა სახელმწიფო დაუცხრომლად იბრძვიან იმისათვის, რომ რეალურ ძვრებს მიაღწიონ ამ დარგში. ჩვენ კვლავ მოვეწყოდებთ ყველა სახელმწიფოს, ყველა ქვეყანას ბოლო მოეღოს საშიერო ომტენციალის გაძლიერებას, დაიწყოს სვლა დიადი მიზნისაკენ — საყოველთაო და სრული განიარაღებისაკენ. სსრ კავშირს ესმის ამ უდიდესი ამოცანის გადაწყვეტის სირთულე და მზად არის პირველ ხანებში წვიდეს ნაწილობრივ ღონისძიებებზე. საბჭოთა მხარეს შესაძლებლად მიაჩნია უახლოეს ხანში მიღწეულ იქნას კონკრეტული შედეგები ცენტრალურ ევროპაში შეიარაღებულ ძალთა და შეიარაღების შემცირების შესახებ მოლაპარაკებაში. რა თქმა უნდა, თუ კეთილ ნებას გამოიჩენს ყველა მონაწილე.

საერთაშორისო ასპარეზზე პოზიტიური პოლიტიკური ცვლილებების დამკვიდრებისა და მტკიცე შვიდობის მატერიალური ბაზების შექმნის ნაცად საშუალებად გვევლინება სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა საერთო ეკონომიური, სამეცნიერო-ტექნიკური ურთიერთობის ყოველმხრივი განვითარება. ასეთი ურთიერთობა შეესაბამება ყველა ხალხისა და ქვეყნის ინტერესებს. ითვალისწინებს რა ამას, საბჭოთა კავშირი აქტიურად აგვარებს ურთიერთხელსაყრელ ეკონომიურ თანამშრომლობას, მონაწილეობს შრომის საერთაშორისო განაწილებაში.

რა თქმა უნდა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო ითვალისწინებენ, რომ საერთაშორისო განმეორებადი ფაქტორებიც ეგმოირჩევა სირთულით. არ წყდება, დროდადრო კი ძლიერდება შვიდობისა და სოციალური პროგრესის მტრების ხრიკები. ხმელთაშუა ზღვის რაიონში ამას წინათ მოახდინა ამბებმა კვლავ თვალნათლივ გვიჩვენეს, თუ რა ნეგატიურ როლს ასრულებს საერთაშორისო ცხოვრებაში ხატოს ბლოკი, რამდენად შეუთავსებელია მისი თვით არსებობა და პოლიტიკური მიზნები ხალხთა თავისუფლებისა და უშიშროების ინტერესებთან. აგრესიული იმპერიალისტური წრეები ესწრაფვიან გამოიყენონ ყველა შესაძლებლობა სოციალისტურ ქვეყნებში ჩვენთვის უცხო რეაქციული ბურჟუაზიული იდეოლოგიისა და მორალის შემოპარვისათვის, დაძაბულობის შენელების ჩაფუშვას ცდილობენ ბუკნის ახლახელი ხელმძღვანელები. ყოველივე ეს მოითხოვს ავამაღლოთ პოლიტიკური ხელმძღვანელობა, მუდამ ვიყოთ მზად საკადრისი პასუხი გავცეთ მშვიდობის მოწინააღმდეგთა ყოველგვარ ხრიკებს. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკას თანმიმდევრულად კლასობრივი ხასიათი აქვს. იგი მშვიდობის პარტიკაა და მიზნად ისახავს ხელშემწყობი საერთაშორისო პირობები შექმნას სოციალიზმისა და კომუნიზმის აშენებისათვის. შეესაბამება მთელი მშრომელი კაცობრიობის ინტერესებს, ემსახურება სოციალური პროგრესს საქმეს.

ლენინის ანდერძის ერთგული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია აქტიურად მონაწილეობს მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის წინაშე მდგომი საერთო ამოცანების გადაწყვეტაში. ჩვენი პარტია იბრძვის მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებზე მისი შემდგომი შეკავშირებისათვის. მას თავისი წვლილი შეაქვს თანამედროვე საზოგადებრივი განვითარების ძირეული პრობლემების შემოქმედებრივ შემუშავებაში, სოციალისტური და კომუნისტური მშენებლობის ზოგად კანონზომიერებათა დასაბუთებაში ცალკეული ქვეყნების თავისებურებათა მჭიდრო კავშირით, ანალიზებს ახალ მოვლენებს თანამედროვე კაპიტალიზმის განვითარებაში და საერთაშორისო პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის, ეროვნულ-განმათავისუფლებელ ღ ი, მთელი ანტიიმპერიალისტური მოძრაობის გზებს, ორი სისტემის იდეოლოგიური ბრძოლის მიმართულებასა და ფორმებს. ჩვენი პარტია შეურიგებელ და თანმიმდევრულ ბრძოლას ეწევა ანტიკომუნიზმის, ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული იდეოლოგიის, ნაციონალიზმის, შემარჯვენე და „მემარცხენე“ რევიზიონიზმის წინააღმდეგ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას ესმის და აზიარებს მომძე პარტიათა მოთხოვნილებას მსოფლიო განვითარების აქტუალურ პრობლემებზე აზრთა პეროიოდულად ურთიერთგაზიარების შესახებ. მას მიაჩნია, რომ აზრთა ასეთი ურთიერთგაზიარება, უწინარეს ყოვლისა საკითხებზე, რომლებიც კომუნისტური და მუშათა პარტიების 1969 წლის საერთაშორისო თათბირის შემდეგ წარმოიშვა, შესაძლებელს გახდიდა დაგვესახა ახალი ორიენტირები ხალხთა შორის შვიდობისა და მეგობრობისათვის, დემოკრატიისათვის, სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისათვის, იმპერიალისტური რეაქციის წინააღმდეგ ერთობლივ ბრძოლაში. ეს ხელს შეუწყობდა მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის როლის შემდგომ ამაღლებას, მისი, როგორც თანამედროვეობის ყველაზე გავლენიანი პოლიტიკური ძალის ავტორიტეტის ზრდას.

პარტია ესწრაფვის იმას, რომ ჩვენს ქვეყანაში ყველა ადამიანი უკეთ ცხოვრობდეს და მუშაობდეს. წინ მშვიდობიანი შეჯიბრებლობის ახალი ჰორიზონტებია. პარტიამ და ხალხმა შექმნეს უდიდესი მატერიალური და სულიერი პოტენციალი, რომელიც საჭიროა ჩვენს წინაშე მდგომი ამოცანების განსახორციელებლად. ახალი სოციალისტური საზოგადოების მშენებლობისათვის გრანდიოზულ მუშაობაში პარტიისა და ხალხის ურთიერთ ერთიანობა იმის უტყუარი გარანტიაა, რომ ეს ამოცანები, რაგინდ რთულიც იყოს, წარმატებით გადაწყდება.

„პრავდა“ 13/X.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ბუნების დაცვის მუდმივ კომისიაში

ბაიმარსა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭის ბუნეიის დაცვის უფლებივი კომიტეის სხდომა.

კომისიის სხდომაზე განხილულ იქნა საკითხი — რესაუბლიკის ტერიტორიულ წყლებსა და იიდაკალაბატეეეში თევზის მარაგის დაცვისა და ხიი მომრავლების მდგომარეობის �ასახება.

ძოსსენებელმა — „საქმაავზღვათევზის“ საკავარველოა უფროოის მოადგილემ ს. ცინცაიეძ და ოუდმივი კომისიის წევრებმა, დეპუტატებმა: ა. ირემაძემ, ვ. თოდუამ, საქაოთველოს სსრ სორეისა და ოძის ძრეწველობის მინისტრის მოადგილემ ვ. ქადეიშვილმა, იუსტიციის სინიტრის სოადგილემ ა. აანგაძემ, ნაკრძალებისა და საეონადირეო ფეუონეიობის ათავარი სამმართველოს უფროსის მოადგილემ კ. ბაციაშვილეა, საბინაოკომუალური მეურნეობის სამინისტროს გაააყოფილების უფროსმა ნ. ათონიშიეეეი, რუსთავის ფეტალურგიული ქარხნის მთავარია ენერგეტიკოოამა შ. ზარანდიამ და სხვებია აღნიშნეს, რომ ბოლო წლებში საგრძნობლად გაუმჯობესდა თევზის და ძოერავლეთის საქმე.

თევზის დაცვის ორგანოებს დიდ დახმარებას უწევს მთელი საზოგადოებრიობა, გახსაკუთრებით კი ახალგაზრდობა. ამეადად რესპუბლიკაში თევზის დაცვისა და მოსრავლეის მიზნით „ცისფერი პატრულების“ სახელწოდებით შექმნილია 197 რაზმი, ოოოლობშიც გაერთიანებულია 2000-მდე ასალგაზრდა.

თევზის დაცვის საქმეში შესაბამის უწყებებთან ერთად დიდ მუშაობას ეუწეიან ადმინისტრაციული ორგანოები, რომლებიც სათანადო ღონისძიებებს ასორეიელებენ ბრაკონიერობის წინააღმდეგ.

ამასთან ერთად კომისიამ აღნიშნა, რომ თევზის დაცვისა და მომრავლების საქმეში არსებობს ნაკლოვანებანი, ბუნებრივ ობიექტებზე ბრაკონიერობა ჯერ ვერ ბოლოვდებ ბოლოს ვერ ბოლოს ბრაკონიერობა ჯერ ვერ ბოლოს ბრაკონიერობა ჯერ ვერ ბოლოს ბრაკონიერობა ჯერ

ამბები • ფაქტები

მსოფლიო დღეს

საკადესი და
უცხოეთის პრესის
სააგენტოები
იტყობინებიან

ძმური გრძნობები

ულან-ბატორი, 14 ოქტომბერი. (საკადესი). სახალხო რევოლუციის გამარჯვება, სოციალისტური გარდაქმნათა წარმატებანი მონგოლეთში უშუალოდ დაკავშირებულია მარქსიზმ-ლენინიზმის ძლევამოსილ მოძღვრებასთან, კამარჯვებული სოციალიზმის პირველი ქვეყნის — სსრკ კავშირის ყოველმხრივ მხარდაჭერასთან და დახმარებასთან, წერს გაზეთი „უნენი“ მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის მომავალ ვიზიტთან დაკავშირებით.

სახალხო მონგოლეთის მშრომელებს, მონგოლ კომუნისტებს, რომლებიც ემზადებიან ფართოდ აღნიშნონ მონგოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის III ყრილობისა და რესპუბლიკის გამოცხადების 50 წლისთავი, ნათქვამია სტატიაში, დიდად ახარებთ, რომ ამ საყოველთაო-სახალხო ზეიმში მონგოლელებს მიიღებენ საბჭოთა სტუმრები ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

მსოფლიო ხალხთაშორისობას სსრ კავშირის დიდი მიღწევები კომუნიზმის მშენებლობაში, სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების, მსოფლიო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ძმური ერთიანობა და შეკავშირება, მშვიდობისათვის მძლავრი მოძრაობა, რომელმაც მთელი პლანეტა მოიცვა, სამართლიანად მიაჩნია სკკპ XXIV ყრილობის პროგრამის განხორციელების ნაყოფიერ შედეგად, რომელსაც თანამიმდევრულად და გაუხუნარად ახორციელებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტი და მისი პოლიტბიურო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

საბჭოთა კავშირის მშვიდობის პროგრამა, წერს დასასრულს „უნენი“, რომელიც შეესაბამება ხალხთა ძირეულ ინტერესებს და დღითი დღე სულ უფრო მეტი ადამიანის ყურადღებას იპყრობს, მძლავრ ზეგავლენას ახდენს მთელი საერთაშორისო ცხოვრებ ის პოზიტიურ განვითარებაზე.

თანამშრომლობის ინტერესებისათვის

ჰელსინკი, 13 ოქტომბერი. (ხაკდესი). დარწმუნებულია ვარ, რომ ფინეთში საბჭოთა კავშირის სახელმწიფო დელეგაციის მომავალ ვიზიტს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ნ. ვ. პოდგორნის მეთაურობით ექნება დიდი მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნების ურთიერთობის განვითარებისათვის. განაცხადა ხაკდესის კორესპონდენტთან საუბარში ჰელსინკის ობერბურგომისტრმა ტუომო აურამ.

ტ. აურამ აღნიშნა, რომ სსრ კავშირსა და ფინეთს შორის დახავების ხელშეკრულების 30 წლისთავისა და „ფინეთ-საბჭოთა კავშირის“ საზოგადოების 30 წლისთავის გამო მომავალი ზეიმის დროს გაიმართება ნ. ვ. პოდგორნისა და ფინეთის პრეზიდენტის უ. კ. კეკონენის მოლაპარაკება, და განაცხადა: ეს მოლაპარაკება გიზიტი მთლიანად, უეჭველია, ხელს შეუწყობენ ფინეთისა და სსრ კავშირის თანამშრომლობის შემდგომ განვითარებას სხვადასხვა დარგში და კერძოდ ეკონომიკისა და კულტურის დარგში.

ყველაზე საშიში ორგანიზაცია

ლისაბონი, 14 ოქტომბერი. (ხაკდესი). ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ხაკმაანობა სერიოზული პრობლემაა პორტუგალიისათვის, განაცხადა კონტინენტზე ოპერატიული ხარლობის ხარდლის მოადგილემ ბრიგადის გენერალმა ოტელუ დე კარვალიუმ.

ყურნალ „სიტლენ ილუსტრადუსთვის“ მიცემულ ინტერვიუში გენერალმა დი კარვალიუმ ილაპარაკა 28 სექტემბრის ამბებზე, როცა მემარჯვენე შეთქმულებმა სცადეს მოეწყოთ ამბოხება პორტუგალიაში. მან განაცხადა, რომ მოსალოდნელია მემარჯვენე რეაქციონერთა ახალი გამოხდომები, რომლებიც შესაძლოა უფრო სერიოზული იყოს, ვიდრე 28 სექტემბრის ამბები.

გენერალმა დი კარვალიუმ აშკარად აღნიშნა, რომ ეროვნული სადაზვერვო სამმართველო იყენებს ყოველგვარ მეთოდებს, რასაც მოწმობენ ჩილეს ამბები. როგორც ჩანს ჩვენთვის ეს არის ყველაზე საშიში ორგანიზაცია, ბრიგადა იგი ერთადერთი როდია: ასეთი ორგანიზაციის მეორე მაგალითია ნატო, დასძინა მან.

ეკონომიური განვითარების პროგრამა

ბაღდადი, 14 ოქტომბერი. (ხაკდესი). ჩრდილოეთ ერაყის ქურთთა ავტონომიურ რაიონში ხორცელდება ფართო ეკონომიური განვითარების პროგრამა. ამკვამად ეს შენდება შაქრის, სიგარეტის, ხილისა და ბოსტნეულის კონსერვების, რძის პროდუქტების, საფეიქრო საქონლის, ხალიჩების, სხვადასხვა სამენი ნაკეთობის, ბეტონის ფაბრიკაქარხნები.

როგორც მრეწველობის სამინისტრო იუწყება, ამ ობიექტების მშენებლობა შეფასებულია 40 მილიონ დინარად.

ურთიერთგაგების დიდი შესაძლებლობანი

პარიზი, 14 ოქტომბერი. (ხაკდესი). პარიზის პოლიტიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტში მუშაობა დაამთავრა საბჭოთა კავშირსაფრანგეთის კოლოკვიუმმა, რომელიც სსრ კავშირისა და საფრანგეთის ურთიერთობის განვითარების პერსპექტივებს მიეძღვნა. კოლოკვიუმი მონაწილეობდნენ ორი ქვეყნის თვალსაჩინო მეცნიერები. საბჭოთა დელეგაციის მეთაურობდა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მსოფლიო ეკონომიკისა და საერთაშორისო ურთიერთობის ინსტიტუტის დირექტორი აკადემიკოსი ნ. ნ. ინოზემცევი. შეხვედრის მონაწილეებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრი აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპის ქვეყნების ურთიერთობის სხვადასხვა ასპექტის გამო, დაწერილებით განიხილეს საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის პოლიტიკური და ეკონომიური თანამშრომლობის პერსპექტივები, აგრეთვე მთელი რიგი საერთაშორისო პრობლემები.

ფრანგი მეცნიერები დიდად კმაყოფილი არიან ამ შეხვედრის შედეგებით, განუცხადა ხაკდესის კორესპონდენტს კოლოკვიუმის მონაწილემ, პოლიტიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის პროფესორმა პიერ ფერენტ. ჩვენ შესაძლებლობა მოგვეცა კოლეგებთან ერთად განგვეხილა საერთაშორისო ცხოვრების ბევრი აქტუალური პრობლემა.

მწამს, ხაზი გაუსვა პ. ფერენტმ, რომ დიდი შესაძლებლობანი გვაქვს ორი ქვეყნის ყოველმხრივი ურთიერთობის შემდგომი განვითარებისათვის, ამის, უეჭველია, ხელს უწყობს ის დადებითი ცვლილებანიც, რომლებიც ევროპის კონტინენტზე ხდება ამ ბოლო წლებში, ხელს უწყობს ლონისძიებანი, რომლებსაც მომართავენ ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემის შესაქმნელად.

ნარკომანიის ახალი ტალღა

ნიუ-იორკი, 14 ოქტომბერი. (ხაკდესი). შეერთებულ შტატებში ხეროინულ შეშფოთებას იწვევს ნარკომანიის ზრდა. როგორც კონგრესში განაცხადა თეთრი სახლის ნარკომანიასთან ბრძოლის სპეციალური ჯგუფის დირექტორმა რ. დიუპონმა, განსაკუთრებით შესამჩნევად იმატა ნარკომანთა რიცხვმა უკანასკნელი ექვსი თვის განძილზე. და თუ წინათ ნარკოტიკების ბოროტად გამოყენება პრაქტიკულად მხოლოდ ისეთი დიდი ქალაქებით შემოიფარგლებოდა, როგორიცაა ნიუ-იორკი, სანფრანსიკო, ჩიკაგო და სხვ. ახლა მეჩიდროდ დასახლებული ცენტრებიდან იგი მთელ ქვეყანაში ფრცელდება.

რ. დიუპონის აზრით საკმაოდ ზუსტადაც კი შეიძლება განისაზღვროს, როგორ ვოდება ნარკომანია პატარა ქალაქებსა და სოფლებს. უკვე აღინიშნება ჰეროინუნის ხმარების სწრაფი ზრდა ისეთ პატარა ქალაქებში, როგორიცაა მეიკონი, დე-მოინი, ჯექსონი.

პ. როჯერსმა, წარმომადგენელთა პალატის იმ ქვეკომისიის თავმჯდომარემ, რომელიც ახლა ამ პრობლემაზე მუშაობს, „დრამატული“ უწოდა ძლიერი ნარკოტიკების ხმარების მატებას უკანასკნელი თვეების მანძილზე. კვლევის მონაცემებით, ახლა შარშანდელთან შედარებით ერთიორად და მეტად გაიზარდა და 800 ათასს მიაღწია იმ ამერიკელთა რიცხვმა, რომლებიც ჰეროინუს ხმარობენ.

ამავე დროს მკვეთრად გადიდდა ამ ყველაზე ძლიერი ნარკოტიკის ხმარებასთან დაკავშირებული სიკვდილის შემთხვევების რიცხვი. ზოგიერთ ქალაქში, მაგალითად, ჩიკაგოში, ჰეროინუმის ხმარებით გამოწვეული სიკვდილის შემთხვევების რიცხვი 100 პროცენტით გაიზარდა.



ბუნება და ადამიანი

ბიჭვინთის ტყის სიცოცხლე

ბიჭვინთაში, იქ, სადაც მონასტრიდან ზღვისაკენ ფიჭვნარზე კვიპაროსებს ხვევანი გადის, დგას უზარმაზარი, ოცდაათი მეტრის სიმაღლის არაჩვეულებრივი ფიჭვი. რამდენიმე კაცმა ერთმანეთს ხელები უნდა გადაბას, რომ შემოაწვდინონ მას. ჯერ კიდევ არ არის დაზუსტებული, რამდენი წლისაა იგი. მაგრამ როგორც სპეციალისტები ამტკიცებენ, ხის ასაკი გადაფასებულია ოთხ საუკუნეს.

მრავალი ამბის მოწმეა ეს პატრიარქი ხე. მას გადაუტანია მრავალი დელგმა და ელჭეები, ზღვის შტორმები და ქარიშხლები, მის გარშემო დალუპულა ბიჭვინთის ფიჭვნარის ბევრი ხე. ულმობლად ანადგურებდნენ და წლობით თელავდნენ ტყეს. დროდადრო გამოჩნდებოდნენ ხოლმე „გაბედულნი“, რომლებიც ნაჯახს აღმართავდნენ ძვირფას ფიჭვზე. საქმე თითქმის იქამდე მივიდა, რომ დადგა საკითხი: საერთოდ იყოს თუ არა ბიჭვინთის ტყე. ზოგიერთი სპეციალისტი გამოთქვამდა აზრს, რელიქტური ფიჭვნარი, ფართობით მსოფლიოში ყველაზე დიდი, თანდათანობით მოისპობოდა.

გადიოდა წლები. და აი ბოლოს ბიჭვინთის ფიჭვნარს ბედმა გაუღიმა. ადამიანები მას ყურადღებითა და მზრუნველობით მოეკიდნენ. 1968 წელს ტყე შემოფარგლეს, ლატოვეს გასასვლელები, დასასვენებლად ხეების ნაწილი.

ბიჭვინთა-მიუსერის ნაკრძალის კოლექტივმა დიდი აღდგენითი სამუშაოები გააჩაღა. გავიდა წვიდი წელი. ტყისთვის ეს დიდი ვადა არ არის, მაგრამ შედეგები უკვე თვალნათლივ ჩანს...

დირექტორ გივი შალიბაშვილთან, სამეცნიერო ნაწილში მის მოადგილესთან ალექსი ხაილოსთან და მეურნეობის ერთ-ერთ უსუცეს მუშაკთან ტყის პათოლოგ ლიანა კიმარიშვილთან ერთად, რომელმაც ბევრი რამ გაგაცნოთ რელიქტური ფიჭვის აღსადგენად, მივდიოთარ ტყეში. მივდიოთარ გაფანილი გზებითა და ბილიკებით. ირგვლივ გაჩაღებულია გულმოდგინე მუშაობა. ხშირად გვხვდება ახლად დარგული ფიჭვის მთელი ნაკვეთები. შემოკავებულია ბუნებრივად ამოსული ცალკეული პატარა ფიჭვები. გეკარგვინეს 5-7 წლის ხეების პატარა ნაკვეთი. აი კიდევ ორი ქექტარი პაწაწკინტელა ფიჭვები, რომლისთვისაც სკოლის ნაკვეთი შეურქმევიათ. დიდ მასიებზე მიმდინარეობს ტყის გაწვენდა.

ნაკრძალის მუშაკები მოგვითხრობენ, რომ შემოკავება ხელს უწყობს ახალგაზრდა ხეების ბუნებრივ ზრდას. უკანასკნელ წლებში ტყეში დარგულია 17 ჰექტარი ფიჭვი, შექმნილია ჯანყოფილება, სადაც ზრდიან დიდი ზომის ხეებს. არის ნაკვეთი ნერგების გამოსაყვანად და გასაზრდელად. ნაკრძალში ყოველწლიურად ამზადებენ 20 კილოგრამ თესლს, რომელსაც შემდეგ გრუნტში რგავენ. ხორცელდება დაცვის ღონისძიებებიც — შესხურება, დამტვერვა და ბიოლოგიური დამუშავება. ამან ჩინებული შედეგები გამოიღო. ხეების კვდომა ოცჯერ შემცირდა. ეს მაჩვენებელი ახლა ტყის ბუნებრივი კვდომის ნორმაზე დაბალია. ბიჭვინთის ტყე შესამჩნევად გაახალგაზრდავდა. ზოგიერთ ადგილას ნორჩი ფიჭვები. ღია მწვანე ხალიჩას ქმნიან. ახლა ყოველ ხნიერ ხეზე ათი ახალგაზრდა ფიჭვია. ერთი შეხედვით შეიძლება ითქვას, რომ ეს ბევრია. ბევრიც არის და ცოტაც. ასი ახალგაზრდა ხიდან ხომ სულ ორი-სამი უზარმაზარი ფიჭვი იზრდება. ასეთია ამ უზარმაზარ და ამავე დროს ძალიან ნაზ მცენარეთა ბუნებრივი შერჩევა. სწორედ ამიტომ მეურნეობის კოლექტივი წლითაწლობით ზრდის მცენარეთა ხელოვნურ ნარგაობას.

ფრთებსა შლის ბიჭვინთის ტყე. ახლა რელიქტური ფიჭვის ნარგავებმა ინკიტის, ტბაშიდე მიაღწია. აქ დარგულია 1.500 დიდი ზომის ხე. ფიჭვი კვლავ ბრუნდება იქ, სადაც რამდენიმე საუკუნის წინათ მისი წინაპრები იყვნენ. დიდი სამუშაოებია შესრულდა კონცხის ნაპირზე. აქაც ლაღად გრძნობენ თავს ახალგაზრდა ნარგავები.

ნაკრძალში დიდი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა წარმოებს. ყოველწლიურად ადგენენ ბიჭვინთის ტყის წიგნ-მატიანეს, რომელშიც შეაქვთ ყველა ცვლილება, რაც ფლორასა და ფაუნაში ხდება.

ტყის დაცვას არ შეიძლებოდა გავლენა არ მოეხდინა ფაუნის განვითარებაზე. ტყე თითქოს. გაცოცხლდა. მიდიხარ ტყეზე შემოდგომის სისხამ დილას. მას ჯერ კიდევ მსუბუქი ლურჯი ფერი ადევს, მაგრამ უკვე გაისმის სხვადასხვა ფრინველთა ხმები, თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებიანნ. ხეზე გაისმის „ტყის სანიტარის“ — კოდალას კაკუნი. მაღლა ტოტიდან ტოტზე ელვის სისწრაფით გადახტიან ციყვები. ტყის პირას ხშირად თამაშობენ კურდღლები. ხან იქ, ხან აქ შეხვდებით ხოხბებს ნორჩი თაობით, ბუჩქებიდან რომ გამოსულან და შემოდგომის მზეზე თბებიან...

ბევრი რამ უკვე გაკეთებულია ტყეში, მაგრამ საჭირო იქნება კიდევ ბევრი გულმოდგინე, დაუღალავი შრომა.

ახლა ცხადია ერთი რამ — საკითხი ბიჭვინთის ფიჭვის კვდომის შესახებ დღის წესრიგიდან მოხსნილია. ეს ფიჭვნარი საუკუნეებს იცოცხლებს ჩვენი ადამიანების გასახარად და სამებლად.

ხანამ მეურნეობის კოლექტივი ტყეში აღდგენითი სამუშაოებით არის დასაქმებული, აქ, ბიჭვინთაში, ჩვენი თვალუწვდენი სამშობლოს ყველა კუთხიდან და საზღვარგარეთიდან მოდიან რიუკზაკიკიდებული დამსვენებლები და ტურისტები. მოდიან ავტომობილებით, მოტოციკლებით, ველოსიპედებითაც კი. სხვადასხვა ფერებით ელვარებენ ავტოტურისტთა კარვები. და თუმცა უკვე ოქტომბერია, აქ, ყურეში, ჯერ კიდევ არ იგრძნობა შემოდგომა. ხეთა უზარმაზარი მწვანე ტოტები თითქოს კარავს ქმნიან და მზეზე ბრწყინავენ.

ამთავრებ ამ სტრიქონებს და თვალწინ ვიდგას უზარმაზარი — დევგმირი ხეები, გვსმის მათი შტოების შრიალი და ფიქრობ, რა ძლიერია ადამიანის სიყვარული ბუნებისადმი.

ვლ. გინზბურგი,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

სურათებზე: მარცხნივ — ახე დგას ბიჭვინთაში პატრიარქი ფიჭვი; მარჯვნივ ზემოდან — ნაკრძალის მუშაკები მ. კიწმარიშვილი და ა. ხაილო ათვალიერებენ ახალგაზრდა ფიჭვების ნაკვეთს; ციყვი ბიჭვინთის ტყეში.

ავტორის ფოტო.

მოკლედ...

ჰიდაობა. კატოვიცეში (პოლონეთი) დამთავრდა მსოფლიოს პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში. გამოვლინდა ჩემპიონები წონით კატეგორიების მისედვით. აი ისინი: ვლადიმერ ზუბკოვი (მინსკი), პეტრე კეროვი (ბულგარეთი), ფარხატ მუსტაფინი (მოსკოვი), კაზიმეტ ლიპენი (პოლონეთი), ნელსონ დავიდიანი (კიევი), ვიტენლოგ მასა (ჩეხოსლოვაკია), ანატოლი ნაზარენკო და ვალერი რეზანცევი (ალმა-ათა), ნიკოლოზ ბალბოშინი (მოსკოვი) და ალექსანდრე ტომოვი (ბულგარეთი).

ვერცხლის მედლები მოიპოვეს ვალერი არუთიუნოვმა (ერევანი), ანატოლი კავკაკევმა (მოსკოვი) და შოთა ფორჩილაძემ (თბილისი). მეორე ქვესაშუალო წონაში ბრინჯაოს მედალი წილად ხვდა თბილისელ ი.ოსეს ბერიშვილს.

ფრენბურთი. მეხიკოში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ფრენბურთელ ქალთა და ვაჟთა მსოფლიო ჩემპიონატი.

ორმეტ საბჭოთა გუნდმა, კაჟეშმაც და გოგონებმაც კარგად ჩაატარეს პირველი შეხვედრები. ფრენბურთელ ქალთა ნაკრებმა ანგარიშით 3:0 (15:5, 15:4, 15:1) დაამარცხა დომინიკის რესპუბლიკის ნაკრები, ხოლო ვაჟებმა ასეთივე ანგარიშით დაამარცხეს ამერიკის შეერთებული შტატების ფრენბურთელ ვაჟთა გუნდი (15:5, 15:2, 15:13).

ჭოკეი. 12 ოქტომბერს დაიწყო სსრ კავშირის 27-ე ჩემპიონატი. ტრადიციული მეტოქეების — არმიის ცენტრალური სპორტული კლუბისა და მოსკოვის „სპარტაკის“ შეხვედრა დამთავრდა არმიელთა დამაჯერებელი გამარჯვებით — 8:1. ჩელიაბინსკის „ტრაქტორი“ დამარცხდა „ხიმიკთან“ შეხვედრაში — 4:5, კვირას სსრ კავშირის ჩემპიონმა „კრილია სოვეტოვმა“ ანგარიშით 5:2 დაამარცხა უმაღლესი ლიგის დებიუტანტი სარატოვის „კრისტალი“.

რაგბი. შეიძლება მოზდეს ისე, რომ საკავშირო ჩემპიონატის დასკვნითმა ტურმა, რომელიც 20 ოქტომბერს გაიმართება, ვერ მოგვცეს პასუხი, თუ ვინ გახდება 1974 წლის ჩემპიონი. „ოქროს“ ზონებს ჯერჯერობით სამი გუნდი ინარჩუნებს. გასული წლის ჩემპიონი მოსკოვის „ფილი“, კიევის სამოქალაქო ავიაციის“ საინსტიტუტო ინსტიტუტი და ი. ა. ბაბარინის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემია. დებულების თანახმად, თუ სამივე გუნდი ერთხაინ ქულებს დაკარიგებს, გაიმართება დამატებითი თამაშები.

მოსკოვის „ფილის“ რეგბისტებმა 13 ოქტომბერს თბილისში მოუგეს ადგილმბრივ „ლოკომოტივს“ — 10:0. კიეველებმა საკუთარ მოედანზე დაამარცხეს ლენინგრადის „ბურევესტნიკი“ — 13:6, ხოლო სამხედრო-საჰაერო აკადემიის რეგბისტებმა დაამარცხეს მოსკოვის „ლოკომოტივი“ — 6:0. მოსკოვის „ავტომობილისტმა“ ზვენიგოროდში ანგარიშით 12:6 დაამარცხა თბილისის „განთიადი“.

ბიჭვინთაში ტურნირი

ტურნირული ბიგლიოთეკა

...ქარვის მტევნები“ რუსულ ენაზე

გამოგვცემლობა „მერანმა“ რუსულად დაბეჭდა ალექსანდრე ბეგაშვილის ლექსების კრებული, რომელსაც „ქარვის მტევნები“ ჰქვია.

„პოეტი უმღერის საქართველოს მომჯადოებელ ბუნებას. განსაკუთრებით იმ მხარის ბუნებას, სადაც ბავშვობა გაატარა. კრებულში შეტანილია საქართველოს სახელოვანი ისტორიული წარსულისადმი მიძღვნილი ლექსები. პოეტი სიამაყის გრძნობით უგალობს თავის თანამედროვეთა ბედნიერ ცხოვრებას, მათს სასახელო საქმეებს“, — ვკითხულობთ ანოტაციაში.

წიგნი შეიცავს 132 გვერდს. რედაქტორია ლ. ბაბაზოვა.

გზის დასაწყისი

თბილისში, საქართველოს პროფკავშირების მხატვრული თვითმოქმედების რესპუბლიკურ სახლში გაიხსნა თვითნასწავლი მხატვრის ტარიელ ზანგურაშვილის ნამუშევრების გამოფენა.

იგი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტში მუშაობს. უფროსი მეცნიერ თანამშრომელია, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი.

მომავალი ინჟინრის იხოვრება თავისებურად რომანტიკული იყო. სამუშაო დღე ხშირად თავსაბები ნახაზების შესრულებითა და ამოხსნით იწყებოდა. პროფესიის დაუფლებამ ფიქრმა და ძიებამ იგი ხელოვნებისაც დაახლოვა. თანდათან ჩამოყალიბდა მოყვარული მხატვარი. ერთხანს თითქოს ეკრძალებოდა ფუნჯის ხელში აღება. ამიტომაც მხოლოდ სამი წლის წინათ სიცდა ტარიელმა სახვითი ხატვაში გამოვლინდა საკუთარი თავი.

ტ. ზანგურაშვილის პირველი გამოფენა მნახველს დაარწმუნებს, რომ მისი ნამუშევრები შემოქმედებითი ნიჭის ნაყოფია. ჯამოფენის დიდი ნაწილი ეკიუკატურებს ეთმობა, რომლებიც ძალდაუტანებლად, ლაკონიურად არის შესრულებული. თვითეულ ნახატს მოხდენილი, ჯამეწყლოვანი სათაური აქვს. საერთოდ ნამუშევრები ავტორის ხაო იუმორზე მიგვანიშნებს ზოგიერთი ეს კარიკატურა დაიბეჭდა რესპუბლიკურ პრესაში.

გამოფენის ნაწილი ეთმობა ზეთით, აკვარელითა და გუაშით შესრულებულ რამდენიმე საინტერესო სურათს, რომლებიც გამოირჩევა უშუალობითა და პოეტურობით.

ამ მცირე დარბაზიდან დაიწყო მხატვრის შემოქმედებითი ჯაჭვ, საიდანაც იგი ელის მნახველის ობიექტურ შეფასებას. პირუთვნელი თვალის მიერ შემჩნეული ავსა და კარგს. ეს ჩინებული დასაწყისია. ალბათ მომავალში კიდევ უფრო დაინახავენ თვითნასწავლი მხატვრის გამომსახველობითი ხაშუალებანი და უფრო ნათლად იტყვის თავის სათქმელს.

ლ. ქინქლაძე.

□

კონცერტი მწყემსებთან

ახალციხე. ნაყოფიერად მუშაობს მინაძის ხასოფელ კლუბთან არსებული ბეგიტმხატვრული ბრიგადა. ამას წინათ იგი ეწვია იალაღებზე მყოფ მინაძის საბჭოთა მეურნეობის მეცხოველეობის ფერმას და კონცერტი გამართა მწყემსებისა და მწყეველებისათვის.

შ. ბარძიმაძე.

კორესპონდენტთა ფინანსური მატჩი

მეთერთმეტე პარტია

კორჩნოი — კარპოვი

ახალინდური დაცვა

1. d4 ᲂf6 2. ᲂf3 e6 3. g3 b6 4. ᲂg2 ᲂb7 5. c4 ᲂe7 6. ᲂc3 0-0 7. ᲂd3 d5 8. cd ᲂ:d5 9. ᲂ:d5 ed 10. 0-0 ᲂd7 11. ᲂf4 c5 12. dc bc 13. ᲂfd1 ᲂf6 14. ᲂc2 ᲂb6 15. ᲂd2 ᲂe5 16. ᲂb3 ᲂa6 17. e3 ᲂc6 18. ᲂc2 ᲂa4 19. b3 ᲂc6 20. ᲂac1 ᲂf8 21. ᲂf3 ᲂb7 22. ᲂe5 ᲂe4 23. ᲂa1 ᲂad8 24. ᲂe5 ᲂb6 25. ᲂ:e4 de 26. ᲂc4 ᲂc7 27. b4 ᲂ:d1+ 28. ᲂ:d1 ᲂc8 29. bc ᲂc6 30. ᲂa4 ᲂc8 31. ᲂd4 ᲂf6 32. ᲂa6 ᲂd5 33. ᲂc4 ᲂc6 34. ᲂ:c6 ᲂ:c6 35. ᲂc1 ᲂg7 36. a3 ᲂa6 37. ᲂc3 ᲂe6 38. ᲂd2 ᲂd7 39. f3 ef 40. ᲂg2+ ᲂa5 41. e4 (აქ პარტია გადაიდო) ᲂc6 (ჩაწერილი ხვლა) 42. ᲂg:f3 ᲂge6 43. ᲂge3 ᲂa4 44. ᲂb3 ᲂ:b3 45. ᲂ:d3 ᲂ:a6 46. ᲂe3 ᲂb5+ 47. ᲂg:e2 f5 48. ef gf 49. ᲂf2 ᲂg7 50. ᲂe3+ ᲂd7 51. ᲂf3 ᲂe6 52. ᲂe3+ ᲂd7 53. ᲂf3 ᲂe6 54. ᲂe3 h5 55. ᲂe3+ ᲂd7 56. ᲂf3 ᲂf6 57. ᲂe1 f4 58. ᲂe5 ᲂg8 59. ᲂf7 fg 60. ᲂd6+ ᲂd7 61. hg ᲂg4 62. ᲂ:b5 ab 63. ᲂh1 ᲂc6 64. ᲂ:h5 ᲂd4 65. ᲂ:d4 ᲂ:d4 66. ᲂg5 ᲂe4 67. g4 ᲂa4 68. ᲂe3 ᲂf4 69. ᲂg2 ᲂf3 70. ᲂe3 ᲂf2+ 71. ᲂg2 ᲂf3+ 72. ᲂd4 ᲂf4+ 73. ᲂe5 ᲂa4 74. ᲂg8 ᲂ:a3 75. g5 ᲂg:c5 76. g6 ᲂg3 77. ᲂc3+ ᲂe4 78. ᲂe6 ᲂf3+ 79. ᲂe6 ᲂg3 80. ᲂf7 ᲂe3 81. g7. ᲂ:ᲂ0.

შაქანსაძნელ საქმის

გუშინ მოსკოვში გაიმართა პრეტენდენტთა ფინალური მატჩის მეთორმეტე პარტია ვ. კორჩნოისა და ა. კარპოვს შორის. თეთრებით თამაშობდა ა. კარპოვი. 24-ე სვლაზე პარტია ყაიმით დამთავრდა. ანგარიში კვლავ 2:0 ა. კარპოვის სასარგებლოდ (ათი ყაიმი).

ქალთა საჭადრაკო ჩემპიონატი

ჩიბურდანიძის შესანიშნავი გამარჯვება

მეფეურმეტე ტურში ფათალიბეკოვამ უკვეთეს პოზიციაში გადადო პარტია ალოლიანთან. კობაიძეს მოსაგები პოზიცია ჰქონდა რანიკუსთან, მაგრამ ვერ შეძლო უპირატესობის გამოყენება. ანალოგიურ სიტუაციაში მოგვიანებით დაასწორებინა თანაბარია. შუმა მოუგო მელენტიევს, კოსტანიამ — ფომინას. ბილოსოვამ — გრინფელდს. პირველი გამარჯვება მოიპოვა ბახრუხმა, რომელიც კისლოვას ეთამაშებოდა.

**მეკვამეტე ტურში დიდი ინტერესი გამოიწვია ჩიბურდანიძე-კოსტოიანიანის პარტიამ. პიატიგორსკაიამ საერთაშორისო ოსტატმა სიცილიური დაცვის მწვავე ვარიანტი აირჩია, რომელიც პაიკის შეწირვასთან არის დაკავშირებული. შემდგომში ნორჩმა მოპატიჯვამ, რომ იტყვიან, გასაკვანი არ მისცა მეტოქეს. მან დაასუსტა შავების მეფის საფარი. შემდეგ განახორციელა საინტერესო მანევრები ლაზიერთთა და ეგონი. ძალიან ლამაზი საფინალო კომბინაციით, რომელიც ეგონის შეწირვასთან იყო დაკავშირებული, ჩიბურდანიძემ განვითარა უძლიერესი ეკონი და დაუშამთა შავი მეფე. ეს პარტია ეფექტურობი, უმშვენიერესია დღევანდელ ტურნირზე გამოამშვენებულთა შორის. შუმმა მოუგო ფომინას. მწვავედ მიმდინარეობდა ხუციშვილი-ფათალიბეკოვას პარტია. ბოლოს წარმოიქმნა ეგონების დაახლოებით თანაბარი ბოლო